



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

2010 წლის 14 აპრილს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. 32 წლის წინ, 1978 წლის 14 აპრილს, რუსთაველის გამზირზე ქართველი ხალხის მრავალათასიანი საპროტესტო აქცია გაიმართა, რომელმაც საბჭოთა კავშირის მაშინდელი ხელისუფლება აიძულა კონსტიტუციის 78-ე მუხლში არ შეეტანა ცვლილება, რომლის მიხედვით ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს კარგავდა.

1921 წლის 25 თებერვალს განხორციელებული საბჭოთა ანექსიის შემდეგ, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველმა ხალხმა შეძლო თავისი ინტერესების დაცვა და ქართულ ენას სახელმწიფოებრივი სტატუსი შეუნარჩუნა.

14 აპრილს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე 1978 წლის მოვლენები გაიხსენეს; დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და 14 აპრილის ისტორიულ მნიშვნელობაზე ისაუბრა უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ჯონი აფაქიძემ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. შოთა ახალაიამ, ქართული ენისა და კულტურის ცენტრის დირექტორმა პროფ. მერაბ ნაჭყებამ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა პროფ. მარინე ხუბუამ.

სტუდენტებსა და მაგისტრანტებს 1978 წლის 14 აპრილს განვითარებულ მოვლენებზე მოუთხრო ამ მოვლენების ერთ-ერთმა მონაწილემ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის განყოფილების ხელმძღვანელმა პროფ. მარიამ მირესაშვილმა; სტუდენტებსა და მაგისტრანტებს მიესალმნენ პროფესორები ოთარ ვახანია, რუსუდან ფიფია, ბროლისა წულაია, ლევან ჯინჯიხაძემ, გულნაზ ხუბუა და სხვები; გლობალიზაციის პირობებში ქართული ენის დაცვის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე ისაუბრეს განათლებისა და ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრებმა და სტუდენტებმა: გიორგი ნეფერიძემ, ნინო ბოჭორიშვილმა, ილია ვადაჭკორიამ, ელენე ჩუბინიძემ, ნინო თათარაშვილმა და სხვებმა;